

# დნმ-ის დღე 2016, ესეების კონკურსი

## რას გულისხმობს დნმ-ის შესახებ ესეების კონკურსი

60 წელზე მეტია რაც ჯეიმს უოტსონის და ფრენსის კრიკმა აღწერეს დნმ-ის ორმაგსპირალური სტრუქტურა. 25 აპრილი არის დნმ-ის საერთაშორისო დღე, რომელიც უკვე 9 წელია, რაც ადამიანის გენეტიკის ევროპის და აშშ-ს საზოგადოებებმა დააწესეს და მათივე ორგანიზებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება ესეების კონკურსით.

წელს საქართველოში მეორედ ჩატარდება ესეების კონკურსი, რომელიშიც მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. კონკურსის ორგანიზატორები არიან თსუ და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება.

ესეების კონკურსი ემსახურება გენეტიკაში ცოდნის გაღრმავებას და გენეტიკის მიმართულეების პოპულარიზაციას საქართველოში. კონკურსის მიზანია სტუდენტი გამოწვევის წინაშე დააყენოს, დააფიქროს გენეტიკური კვლევების როლზე და მისი გამოყენების მნიშვნელობაზე მედიცინის და საზოგადოებისთვის. ესე უნდა შეიცავდეს არსებით, კარგად დასაბუთებულ არგუმენტებს, რომელიც დაადასტურებს სტუდენტის მიერ იმ საკითხის ღრმა ცოდნას, რომელიც კონკურსში გამოცხადებულ თემებს შეეხება.

**სანამ დაიწყებთ გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ წესებს !**

## მონაწილეები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამედიცინო და ბიოლოგიური პროფილის სტუდენტებს. ასაკი შეზღუდული არ არის. ესეების კონკურსი ქართულენოვანია.

## საკითხები 2016

*1. აირჩიეთ დღეისათვის ხელმისაწვდომი გენეტიკური ტესტირების მეთოდი ისეთი დაავადებისთვის, რომლის სიმპტომები არ ვლინდება ზრდასრულ ასაკამდე (მაგ., როგორცაა ბუძუს კიბოს მემკვიდრული ფორმა). აღწერეთ ტესტირების მეთოდი და მისი შედეგების სარწმუნოება.*

*შემდეგ დაასაბუთეთ ან უარყავით ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების (ESHG) მიერ მოწოდებული, ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაცია „ასიმპტომური მოზარდების გენეტიკური ტესტირების შესახებ“:*

*„ზრდასრულთა დაავადებების (მდგომარეობების) პრესიმპტომური და პრედიქტიული გენეტიკური ტესტირება მოზარდებში გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების ჩატარება (მაგ., პრევენციული ქირურგია ან ადრეული დიაგნოზირების შემდგომი თერაპიული ჩარევა) ზრდასრული ასაკის მიღწევამდე. სხვა შემთხვევაში მოზარდების პრესიმპტომური და პრედიქტიული გენეტიკური ტესტირება მოზარდილთა დაავადებებზე რეკომენდებული არ არის მანამდე, ვიდრე ინდივიდი არ მიაღწევს ისეთ ასაკს, როდესაც მას შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება და გააანალიზოს მოსალოდნელი შედეგები“.*

2. გენომიკა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს პერსონალიზებული (ზუსტი) მედიცინის განვითარებას. იმისათვის, რომ მოხდეს პერსონალიზებული მედიცინის პოტენციის მაქსიმალიზება, უამრავი ადამიანი ემხრობა დიდი მონაცემთა ბაზის შექმნის იდეას. მათი ხედვით ცალკეული ინდივიდების ელექტრონული სახით შენახული სამედიცინო ჩანაწერები შესაძლებელია შეწყვილდეს როგორც სენსორული ჩამწერებიდან\* მიღებულ სხვა ინფორმაციასთან, ასევე დნმ-ის ბიობანკებში შენახულ მათ ბიოლოგიურ ნიმუშებთან. ემხრობით თუ არა მთელი პოპულაციის ბიოლოგიური ნიმუშების დიდი მოცულობის ბიობანკებში შეგროვების იდეას იმ მიზნით, რომ უკეთ დავადგინოთ გენომური მარკერების კავშირი დაავადებების სწორ პრევენციასთან/მკურნალობასთან? არის თუ არა ეს პერსონალიზებული მედიცინის მომავალი თუ პირადი ინფორმაციის ასე ფართოდ გაზიარების წინააღმდეგი ხართ?

\* მოწყობილობა, რომელიც მონიტორინგს უწევს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას

### პრიზები

პირველი ადგილი - 300 ლარი

მეორე ადგილი – 200 ლარი

მესამე ადგილი – 100 ლარი

### სპეციალური თარიღები

20 იანვარი – ესეების ჩაბარების დაწყება

**10 აპრილი – ესეების ჩაბარების ბოლო ვადა**

25 აპრილი – გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოვება

ესე უნდა აიტვირთოს სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების ოფიციალურ ვებ-საიტზე: [www.geneticsgeorgia.org](http://www.geneticsgeorgia.org). ესეს ფორმატი უნდა იყოს pdf.

### ესეების ჩაბარების წესები

ესეს ჩაბარების ბოლო ვადაა 2016 წლის 10 აპრილი 17:00 სთ–მდე. ნაშრომი pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების ოფიციალურ ვებ-საიტზე: [www.geneticsgeorgia.org](http://www.geneticsgeorgia.org).

1. უნდა შეხვიდეთ ესეების კონკურსი 2016 (მთავარ გვერდზე) ;
2. შეავსოთ შესაბამისი ველეები (სახელი, გვარი, ელ-ფოსტა);
3. ველში “საგანი (subject)” მიუთითეთ „დნმ-ის დღე, ესე 2016“;

4. თემის სათაური: შეგიძლიათ მიუთითოთ 1 ან 2 (იმის მიხედვით თუ რომელ თემას ირჩევთ);

5. მიამაგრეთ და ატვირთეთ მიბმული ფაილი.

ან გამოგზავნეთ ელ. ფოსტაზე [dna@geneticsgeorgia.org](mailto:dna@geneticsgeorgia.org)

ველში “საგანი (subject)” მიუთითეთ „დნმ-ის დღე, ესე 2016

ესე ერთი ეგზემპლარი უნდა ჩააბაროთ ნაბეჭდი სახით თსსუ–ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში.

დაგვიანებით შემოტანილი ესეები არ განიხილება.

### **შენიშვნა:**

ყველა ნაშრომის მიღებული იქნება აკადემიური პატიოსნების წესების დაცვით, რაც გულისხმობს პლაგიატიზმის ( სხვისი ნაშრომის ან აზრის გამოყენება ციტირების გარეშე) გამოვლენას. ნაშრომი, რომელიც შეიცავს პლაგიატიზმის ნიშნებს მოხსნილი იქნება კონკურსიდან.

### **ციტირების წესები:**

ციტირება უნდა მოხდეს MLA ან APA სტილით.

- ფრჩხილში **ციფრი** მიუთითეთ ნაშრომის ბოლოს ჩამოთვლილი ლიტერატურის სიის შესაბამისად.
- ან ფრჩხილში მიუთითეთ **ავტორის გვარი და წელი**, მაგ., (Harris et al., 2001).
- ლიტერატურის სია შედგენილი უნდა იყოს ალფავიტის მიხედვით და შემდეგი თანმიმდევრობით:
  - ავტორის გვარი/ები,
  - წელი
  - სტატიის სათაური,
  - წყარო (ჟურნალის დასახელება)
  - ჟურნალის ნომერი
  - გვერდები

**ნიმუში:** Berndt, T. J. (2002). Friendship quality and social development. *Current Directions in Psychological Science*, 11, 7-10

### **ასევე გაითვალისწინეთ:**

ციტირების დროს არ უნდა შეიცვალოს ორიგინალის შინაარსი.

თუ რაიმეს დაამატებთ ფრჩხილებში თქვენი ინიციალები უნდა აღნიშნოთ მაგ., (დამატება; ა.ნ.)

### **ძალზე მნიშვნელოვანია:**

შესაფერისად არ ჩაითვლება ნაშრომი, რომელიც შედგება მხოლოდ (ან დიდი ნაწილი) ციტირებული ტექსტისგან (მონაცემებისგან). გათვალისწინებული იქნება თქვენი მსჯელობა და არა სხვისი ნაშრომის არსის გადმოცემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული წყაროების მიუხედავად, ძირითადი არსი თქვენს მიერ იყოს ჩამოყალიბებული.

### **ფორმატი**

ესე ტექსტი არ უნდა შეიცავდეს **750 სიტყვაზე მეტს** (სათაურის და ლიტერატურის სიის გარეშე).

ტექსტი უნდა იყოს **ქართულ ენაზე** სილფაენით დაბეჭდილი, MS Word–ში და pdf-ზე დაკონვერტირებული, 12 შრიფტით, სტრიქონებს შორის შუალედი 1,5.

ნებადართულია ერთი შესაბამისი გრაფიკის ან სურათის დართვა და სტუდენტის ერთი სურათის დართვა. გრაფიკის ან სურათის განმარტებები ჩაითვლება 750 სიტყვის ნაწილად.

ესე pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების ოფიციალურ ვებ-საიტზე: [www.geneticsgeorgia.org](http://www.geneticsgeorgia.org). (უნდა შეხვიდეთ საკონტაქტო ფორმაში და შესაბამისი ველების შევსების შემდეგ ატვირთოთ მომზადებული ფაილი); ან გამოგზავნოთ ელ. ფოსტაზე [dna@geneticsgeorgia.org](mailto:dna@geneticsgeorgia.org)

ესეს ერთი ეგზემპლარი უნდა ჩააბაროთ **ნახეკდი სახით** თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში.

ყველა ნაშრომის მიღებული იქნება აკადემიური პატიოსნების წესების დაცვით, რაც გულისხმობს პლაგიატიზმის (სხვისი ნაშრომის ან აზრის გამოყენება ციტირების გარეშე) გამოვლენას. ნაშრომი, რომელიც შეიცავს პლაგიატიზმის ნიშნებს მოხსნილი იქნება კონკურსიდან.

დასაშვებია APA ან MLA სტილით ციტირება (იხ. ციტირების წესები)

ესე უნდა პასუხობდეს შემდეგ საკითხს (სხვა საკითხებთან დაკავშირებული თემები არ განიხილება):

1. აირჩიეთ დღეისათვის ხელმისაწვდომი გენეტიკური ტესტირების მეთოდი ისეთი დაავადებისთვის, რომლის სიმპტომები არ ვლინდება ზრდასრულ ასაკამდე (მაგ., როგორცაა ძუძუს კიბოს მემკვიდრული ფორმა). აღწერეთ ტესტირების მეთოდი და მისი შედეგების სარწმუნოება.

შემდეგ დაასაბუთეთ ან უარყავით ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოების (ESHG) მიერ მოწოდებული, ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაცია „ასიმპტომური მოზარდების გენეტიკური ტესტირების შესახებ“:

ან

2. *გენომიკა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს პერსონალიზებული (ზუსტი) მედიცინის განვითარებას. იმისათვის, რომ მოხდეს პერსონალიზებული მედიცინის პოტენციის მაქსიმალიზება, უამრავი ადამიანი ემზრობა დიდი მონაცემთა ბაზის შექმნის იდეას. მათი ხედვით ცალკეული ინდივიდების ელექტრონული სახით შენახული სამედიცინო ჩანაწერები შესაძლებელია შეწყვილდეს როგორც სენსორული ჩამწერებიდან\* მიღებულ სხვა ინფორმაციასთან, ასევე დნმ-ის ბიობანკებში შენახულ მათ ბიოლოგიურ ნიმუშებთან. ემზრობით თუ არა მთელი პოპულაციის ბიოლოგიური ნიმუშების დიდი მოცულობის ბიობანკებში შეგროვების იდეას იმ მიზნით, რომ უკეთ დავადგინოთ გენომური მარკერების კავშირი დაავადებების სწორ პრევენციასთან/მკურნალობასთან? არის თუ არა ეს პერსონალიზებული მედიცინის მომავალი თუ პირადი ინფორმაციის ასე ფართოდ გაზიარების წინააღმდეგი ხართ?*

\* მოწყობილობა, რომელიც მონიტორინგს უწევს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას

დამატებით კითხვებთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვმართოთ თსსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში, ტელ: 599298168, ელ.ფოსტა: [geoepigene@gmail.com](mailto:geoepigene@gmail.com)

## **შეფასება**

---

ესე შეფასებული იქნება სულ მცირე ორი დამოუკიდებელი გენეტიკოსი ექსპერტის მიერ.

შეფასებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ჰიპოტეზის ფორმულირება;
- განხილული საკითხის ცოდნა;
- განსჯის უნარი.

შეირჩევა სამი გამარჯვებული I, II და III ადგილებზე. გამარჯვებულები გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან 25 აპრილს. მათი ფოტოები და ესეები გამოქვეყნდება ვებ საიტზე:  
**[www.geneticsgeorgia.org](http://www.geneticsgeorgia.org)**